# საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

## ბრძანება №8

## 2013 წლის 10 მაისი

## ქ. თბილისი

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ**

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის დებულება.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2013 წლის 4 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

**საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი** — **ხათუნა გოგალაძე**

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს

## ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის

## დებულება

### თავი I
### ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1**

1. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის (შემდგომში – დეპარტამენტი) სამართლებრივ სტატუსს, სტრუქტურას, უფლებამოსილებას, ანგარიშვალდებულებას და აწესრიგებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.
2. დეპარტამენტი არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

**მუხლი 2**

დეპარტამენტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, სხვა საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

**მუხლი 3**

დეპარტამენტი თავისი ამოცანებისა და ფუნქციების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს და ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.

### თავი II
### დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები და ამოცანები

**მუხლი 4**

1. დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

ა) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ბ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო რეგულირება და კონტროლის განხორციელება;
გ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, შეთანხმებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფაში მონაწილეობა;
დ) რადიაციული უსაფრთხოების რეგულირების სფეროში სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
ე) კომპეტენციის ფარგლებში ბირთვული გაუვრცელებლობის გარანტიებზე საქართველოს პასუხისმგებლობის უზრუნველყოფა;
ვ) საქართველოს ინტერესების წარმოდგენა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოში, ანალოგიური პროფილის სხვა საერთაშორისო ინსტიტუციებსა და უცხო ქვეყნების ორგანიზაციებში;
ზ) ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ან უცხო ქვეყნის ინსტიტუციის ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ პროექტებში მონაწილეობა და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
თ) შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობა და მოქმედი სახელმწიფო პროგრამების კონტროლის განხორციელება;
ი) რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყებრივი რეესტრის შექმნა და მისი წარმოება;
კ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიებისა ან/და ნებართვების გაცემის (გაცემაზე უარის თქმის შესახებ ) შესახებ შესაბამისი დასკვნების მომზადება;
ლ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ან/და ამ საქმიანობის რეგულირებიდან ამოღების თაობაზე დასკვნების მომზადება;
მ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის უსაფრთხოებაზე კონტროლის განხორციელება კანონმდებლობით დადგენილი ინსპექტირების წესითა და მის შესაბამისად;
ნ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის პირობების დარღვევის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;
ო) ბირთვული და რადიაციული ობიექტების ექსპლუატაციის შეჩერებასთან დაკავშირებით მინისტრისათვის შესაბამისი წინადადებების წარდგენა;
პ) მაღალი რადიაციული რისკის მქონე ობიექტის პროექტის ექსპერტიზაში მონაწილეობის მიღება;
ჟ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით ბირთვულ და რადიაციულ ავარიებზე მზადყოფნისა და რეაგირების ეროვნული გეგმისა და შესაბამისი პროცედურების შემუშავება და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
რ) საობიექტო და ადგილობრივ ბირთვულ და რადიაციულ ავარიებზე მზადყოფნისა და რეაგირების გეგმების შემუშავება და მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენა:
ს) ფართომასშტაბიანი რადიაციული ავარიების შემთხვევაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამთავრობო კომისიისთვის ან/და კრიზისების მართვის საუწყებათაშორისო ოპერატიული ცენტრისთვის წარსადგენი შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება;
ტ) რადიოაქტიურად დაბინძურებულ ტერიტორიებზე გადაუდებელი დაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღება და საგანგებო რეჟიმის პირობების განხორციელების კოორდინაცია და კონტროლი;
უ) „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გარემოს რადიაციული მდგომარეობის ერთიანი უნიფიცირებული სისტემით მონიტორინგის შედეგების შეფასება;
ფ) რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის სახელმწიფო რეგულირება და კონტროლი (ზედამხედველობა და კონტროლი რადიოაქტიური ნარჩენის მიღებაზე, შეგროვებაზე, აღრიცხვაზე, გადამუშავებისა და შესაბამის საცავებში განთავსებაზე);
ქ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სასწავლო კურსების, სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება/ჩატარებაში მონაწილეობა;
ღ) რადიაციული საშიშროების შესახებ ინფორმაციაზე რეაგირება;
ყ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში მეთოდური, ინფორმაციული, ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
შ) ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში ჩართული სახელმწიფო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობების კოორდინაცია;
ჩ) ლიცენზიანტის გაკოტრების შემთხვევაში, საჭიროებისამებრ, შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის განსაზღვრა დეზაქტივაციის სამუშაოთა ჩატარებისა და ობიექტის ექსპლუატაციიდან გამოყვანის მიზნით (დეკომისიისათვის);
ც) ბირთვული და რადიაციული ობიექტების არალიცენზირებული საქმიანობის გამოვლენა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელება;

ძ) ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;
წ) საზოგადოებისათვის წარსადგენი ინფორმაციის მომზადება რადიაციული მდგომარეობის იმ ასპექტების შესახებ, რომლებიც არ არის სახელმწიფო ან/და კომერციული საიდუმლოება;
ჭ) კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო წყაროებით დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის შესახებ არსებული კითხვარის შესაბამისად ინფორმაციის მიწოდება;
ხ) სამინისტროს გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრების შესახებ შეტყობინება;
ჯ) კომპეტენციის ფარგლებში, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების და საერთაშორისო ორგანიზაციების/პროცესების ეგიდით საქართველოში მიმდინარე ქმედებების შესახებ ინფორმაციის, ასევე, შესაბამის სამდივნოებში წარდგენილი ეროვნული ანგარიშების ასლების პერიოდულად მიწოდება;
ჰ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.
2. დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებია:
ა) უზრუნველყოს ბირთვული მასალების, შესაბამისი მოწყობილობებისა და ტექნიკის უსაფრთხო გამოყენება მათი გაუვრცელებლობის რეჟიმის დაცვით;
ბ) დაადგინოს ძირითადი მოთხოვნები ბირთვულ მასალებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან უსაფრთხო მოპყრობისადმი;
გ) უზრუნველყოს ბირთვულ მასალებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან დაკავშირებული ყველა უკანონო საქმიანობის თავიდან აცილება და აღკვეთა საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად;
დ) უზრუნველყოს რადიოაქტიურ მასალებთან და მაიონებელი გამოსხივების სხვა წყაროებთან დაკავშირებული ყველა სახის საქმიანობის უსაფრთხოებაზე კონტროლის განხორციელება;
ე) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

## თავი III
## დეპარტამენტის ხელმძღვანელობა, სტრუქტურა და მოსამსახურეები

**მუხლი 5**

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი, რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
2. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია მინისტრისა და კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე.

**მუხლი 6**

დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებს და დავალებებს;
დ) აკონტროლებს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა მიერ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ სამინისტროს შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
ე) ხელს აწერს ან ვიზირებას უკეთებს დეპარტამენტში მომზადებულ დოკუმენტებს, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;
ვ) ხელს აწერს სალიცენზიო/სანებართვო მოწმობებს;
ზ) წელიწადში ერთხელ მინისტრს და კურატორი მინისტრის მოადგილეს წარუდგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;
თ) ორგანიზებას უწევს დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს მინისტრს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
ი) სამინისტროს ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტის სტრუქტურის, საშტატო განრიგის, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა წახალისების ან მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
კ) შუამდგომლობს დეპარტამენტისათვის იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ლ) დეპარტამენტის სახელით ამზადებს დასკვნებს;
მ) პერიოდულად ისმენს დეპარტამენტში შემავალი სტრუქტურული ერთეულების უფროსების და დეპარტამენტის სხვა საჯარო მოსამსახურეთა ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ნ) შუამდგომლობს დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების შესახებ;
ო) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

**მუხლი 7**

დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფებია:
ა) რეესტრის, ლიცენზირების, ინსპექტირების და ხარისხის კონტროლის სამმართველო;
ბ) ინციდენტებზე, ავარიულ სიტუაციებზე და არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების სამმართველო;
გ) რადიოაქტიური ნარჩენების სამმართველო.

**მუხლი 8**

რეესტრის, ლიცენზირების, ინსპექტირების და ხარისხის კონტროლის სამმართველო ახორციელებს:
ა) რადიაციული უსაფრთხოების რეგულირების სფეროში სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობას;
ბ) ბირთვული და რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების წყაროების, მათი მფლობელი ორგანიზაციებისა და პროფესიული დოზების, დეპარტამენტის თანამშრომლების პერსონალური დოზების უწყებრივი რეესტრის, ავტორიზაციის და ინსპექტირების სახელმწიფო რეესტრის წარმოებას;
გ) ნებართვის გაცემის, მასში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ მონაცემთა კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებას;
დ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ლიცენზირების პროცედურებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებას;
ე) ბირთვული და რადიაციული ობიექტების, გარემოს მდგომარეობის, მაიონებელი გამოსხივების წყაროების, ბირთვული მასალებისა და დასხივების გამომწვევი საქმიანობის კონტროლს, ამ მიზნით ინსპექტირების განხორციელებას;
ვ) ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებასთან ან საქმიანობის რეგულირებიდან ამოღებასთან დაკავშირებით დასკვნის მომზადებას;
ზ) ბირთვული და რადიაციული ობიექტების არალიცენზირებული საქმიანობის ან/და ლიცენზიის პირობების, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
თ) უსაფრთხოების შეფასების მიზნით დამოუკიდებელი კვლევების და ხარისხის კონტროლის განხორციელებას;
ი) დაგეგმილი და არსებული დასხივების სიტუაციებში ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ზემოქმედების რისკის შეფასებას;
კ) კომპეტენციის ფარგლებში, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებას;
ლ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.

**მუხლი 9**

ინციდენტებზე, ავარიულ სიტუაციებზე და არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების სამმართველო ახორციელებს:
ა) ბირთვულ და რადიაციულ ავარიებთან და არალეგალურ მიმოქცევასთან დაკავშირებულ სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობას;
ბ) რადიაციული ავარიების პრევენციის, შედეგების შერბილებისა და ლიკვიდაციის მიზნით ავარიული მდგომარეობის შეფასებას, ღონისძიებების დასახვასა და კონტროლს;
გ) ღონისძიებების დასახვასა და კონტროლს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების ფიზიკური დაცვის მდგრადობის მიზნით (გამომდინარე პოტენციური საფრთხეების შეფასებიდან);
დ) ბირთვულ და რადიაციულ ავარიებზე საობიექტო, ადგილობრივი და ეროვნული მზადყოფნისა და რეაგირების გეგმებისა და ინსტრუქციების პერიოდულ შემოწმებაზე ზედამხედველობას;
ე) ბირთვულ და რადიაციულ ავარიებზე ობიექტის, ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ორგანოებისა და უწყებების მზადყოფნის პერიოდულ სწავლებებისა და ვარჯიშების მეშვეობით;
ვ) ნებისმიერი რადიაციული ინციდენტისა და ავარიის კვლევის შედეგების ანალიზს მისი გამეორების თავიდან აცილების მიზნით;
ზ) ავარიული მზადყოფნის ფორმატში საქმიანობის ობიექტებიდან მიღებული რადიაციული მონიტორინგის და გარემოს მონიტორინგის მონაცემების დამუშავებას და სამინისტროსთვის წარსადგენი შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას;
თ) ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვულ და რადიაციულ ინციდენტებზე და ავარიებზე რეაგირების ცენტრთან ეროვნული საკონტაქტო პირის ფუნქციის შესრულებას;

ი) ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მასალების არალეგალური მიმოქცევის ოფისთან ეროვნული საკონტაქტო პირის ფუნქციის შესრულებას;
კ) რადიაციული ავარიის კერის რადიოლოგიურ შეფასებას, რეაგირებაში მონაწილე უწყებების მოქმედებების კოორდინაციასა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას;
ლ) დაზარალებულების დეკონტამინაციის და რადიაციული მონიტორინგის ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლს;
მ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთობლივად ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის ფაქტებზე რეაგირებას და კრიმინალური სცენის რადიაციული მონიტორინგის, ნივთმტკიცების პირველადი რადიოლოგიური შემოწმებას;
ნ) სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირებას, პირველად რეაგირებაში მონაწილე უწყებების მოქმედებების კოორდინაციას;
ო) შემოსულ ინფორმაციაზე (შეტყობინებებზე) რეაგირებას;
პ) არალეგალური მიმოქცევიდან ამოღებული ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებებზე და მასალებზე მარეგულირებელი კონტროლის განხორციელებას დადგენილი წესით;
ჟ) კომპეტენციის ფარგლებში ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებას.

**მუხლი 10**

რადიოაქტიური ნარჩენების სამმართველო ახორციელებს:
ა) რადიოაქტიური ნარჩენების უსაფრთხო მართვაზე კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
ბ) რადოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის სფეროში სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობას;
გ) რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სხვადასხვა ეტაპისათვის კრიტერიუმების დადგენას;
დ) რადიოაქტიური ნარჩენების მოპყრობასთან დაკავშირებული საქმიანობის კონტროლს, ამ მიზნით ინსპექტირების განხორციელებას, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების გატარებას;
ე) რადიოაქტიური ნარჩენების ბირთვული მასალების რეესტრის შექმნასა და წარმოებას;
ვ) რადიოაქტიური ნარჩენების დროებით ან საბოლოო განთავსებაზე კონტროლის განხორციელებას;
ზ) რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიების შერჩევისათვის სახელმწიფოს პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობის მიღებას;
თ) რადიოაქტიური ნარჩენებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და გარემოზე ზემოქმედების რისკის შეფასებას;
ი) კომპეტენციის ფარგლებში, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებას;
კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

**მუხლი 11**

1. დეპარტამენტის სამმართველოს ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსი.
2. სამმართველოს უფროსს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.
3. სამმართველოს უფროსი კომპეტენციის ფარგლებში:
ა) ხელმძღვანელობს სამმართველოს საქმიანობას;
ბ) განიხილავს და ანაწილებს სამმართველოში შემოსულ დოკუმენტაციას;
გ) ანაწილებს მოვალეობებს სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა შორის, უზრუნველყოფს სამმართველოს მუშაობის ორგანიზაციას, აკონტროლებს სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას;
დ) აკონტროლებს მინისტრის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, კურატორი მინისტრის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის დავალებების შესრულებას;
ე) ასრულებს მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილისა და დეპარტამენტის უფროსის დავალებებს;
ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
4. სამმართველოს უფროსი სამმართველოს და მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე ანგარიშვალდებულია მინისტრის, კურატორი მინისტრის მოადგილის და დეპარტამენტის უფროსის წინაშე.

## თავი IV
## დასკვნითი დებულებები

**მუხლი 12**

1. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს

და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

2. დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით, სამინისტროს შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით.

**მუხლი 13**

დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებებისა და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება მინისტრის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.